

ქ.თბილისი

3 მაისი 2016 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ. თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ს. სულხანიშვილის, ე. ნაჭყებიას, ვ. სამხარამის და ი. ჩიქავას მონაწილეობით, მ/წლის 3 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და კლუბ თბ „ყოჩებს“ მენეჯერის გ. ბარძიმაშვილის განცხადება.


**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ამა წლის 27 აპრილს უნდა გაიმართულიყო „ა“ ლიგის მატჩი, წყალტუბოს „დინოზავრი“-სა და თბ „ყოჩებს“ შორის. მატჩი არ შედგა კლუბ თბ. „ყოჩები“-ს გამოუცხადებლობის გამო.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.5, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ს 1.5 პუნქტებით და

**და ა დ გ ი ნ ა**

1. კლუბ თბ „ყოჩებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.  
შენიშვნა: თუ სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი ფინანსური სანქცია კლუბის (გუნდის) მიერ არ იქნა დაფარული მომდევნო ტურის მატჩამდე, მაგრამ არაუმეტეს 7 კალენდარულის დღისა, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.5 პუნქტი და კლუბ თბ „ყოჩებს“ დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა.

 /ს. სულხანიშვილი/

 /ე. ნაჭყებია /

 /ი. ჩიქავა/

 /ვ. სამხარამე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე  /მ. თავზარაშვილი/